ქედის მუნიციპალიტეტის მერია
ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან
ურთიერთობის განყოფილება

განყოფილების უფროსი: სოფიო ხაბაზი
ტელ: 599 85 12 21
ელ. ფოსტა: sofio.khabazi@gmail.com

დაუყოვნებლივ გასავრცელებლად

ა ნ ო ნ ს ი

სახალხო ფესტივალი - ,,ფრიდონობა“

17 მაისს, 14 საათზე, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეებში, სახალხო ფესტივალი ,,ფრიდონობა“ გაიმართება, რომელსაც მოწვეული სტუმრები, აჭარის მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, საზოგადოების წევრები და დაინტერესებული პირები დაესწრებიან.

ჩვეულებისამებრ, გაიმართება ტრადიციული ღონისძიება, თუმცა, ამჯერად ოჯახის წევრთა, მუზეუმის მესვეურთა და თანამედროვე მწერალთა ინიციატივით, მნიშვნელოვნად განსხვავებული ფორმატი ელოდება ფრიდონობის დამსწრე საზოგადოებას. კერძოდ, ღონისძიება მოკლებული იქნება სიტყვით გამომსვლელთა ერთფეროვან პათოსს; მთავარი აქცენტი გაკეთდება ფრიდონ ხალვაშის შემოქმედების ახლებურ გააზრებასა და წარმოჩინებაზე.

პროექტი „ფრიდონობა“ წარმოადგენს სახალხო დღესასწაულს, რომელიც პოეტ ფრიდონ ხალვაშის სახელს უკავშირდება. ღონისძიება მწერლის სიცოცხლეში დაარსდა და უკვე 11 წელია, ტრადიციულად, ლიტერატურის მოყვარული საზოგადოება თავს იყრის სოფელ გეგელიძეებში, სახელოვანი პოეტის და საზოგადო მოღვაწის, ფრიდონ ხალვაშის მშობლიურ კერასთან, სადაც დღეს მისივე სახელობის სახლ-მუზეუმია გახსნილი.

ფესტივალი ქედის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით იმართება, რომელსაც ორგანიზებას აჭარის მწერალთა კავშირი, ლიტერატურული კლუბი, ორგანიზაცია ,,კავკასიონი" და ქედის კულტურის ცენტრი უწევს.

6100 - დაბა ქედა, მ. კოსტავას ქ. 3
www.keda.ge

პ რ ო გ რ ა მ ა

✔ ჩატარდება ლიტერატურული კომპოზიცია
✔ სოფელში მოეწყობა ტურისტული ჰაბი/კარვების ქალაქი
✔ მოეწყობა ეთნოგრაფიული კუთხე
✔ ჩატარდება ნახატების გამოფენა
✔ დამზადდება და გამოიფინება ფრიდონ ხალვაშის მოღვაწეობის და შემოქმედების ამსახველი სპეციალური პოსტერები ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე
✔ ქედის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებისთვის გაიმართება კინოჩვენება
✔ კარვების ქალაქში ჩატარდება ახალგაზრდების პოეზიის საღამო კოცონთან.

პროექტის მიზნები:

პირდაპირი მიზანი:

- „ფრიდონობის“ 10 წლიანი ტრადიციის გაგრძელება;
- პოეტ ფრიდონ ხალვაშის შემოქმედების პოპულარიზაცია;
- პოეტ ფრიდონ ხალვაშის შემოქმედების ახლებური გაანალიზება;
- პოეტ ფრიდონ ხალვაშის მუზეუმის პოპულარიზაცია;
- სოფელ გეგელიძეებში მცხოვრები ახალგაზრდების ინტეგრაცია თანამედროვე პროცესებში;

ირიბი მიზანი:

- ლიტერატურის პოპულარიზაცია ახალგაზრდებში;
- აჭარის უმდიდრესი ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის წარმოჩინება;
- კულტურული ტურიზმის სტიმულაცია მაღალმთიან აჭარაში;
- ქედის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობისა და ეთნოგრაფიის პოპულარიზაცია;